ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა

და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 6

ქ.ვანი თავისუფლებისN65 24 სექტემბერი 2019 წელი

12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: რამაზ არველაძე, დავით ხარძეიშვილი, გელა ღვიტიძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გიგა გოგიბერიძე, აპოლონ რამიშვილი.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდა: თენგიზ დვალიშვილი, კობა ძაგნიძე, თორნიკე ერისთავი.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

დანართი N1

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **რამაზ არველაძე (კომისიის თავმჯდომარე)**

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1.ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2019 წლის მე-4 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს: რამაზ არველაძე

გადაწყვიტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით

მოისმინეს :

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა რამაზ არველაძემ კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2019 წლის მე-4 კვარტლის სამუშაო გეგმა.

1.ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის ანგარიში 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. ა (ა) იპ ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

3. ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

კომისიის წევრემა მოიწონეს მომხსენელის მიერ წარმოდგენილი 2019 წლის მე-4 კვარტლის სამუშაო გეგმა, რომელიც მზარ არის გავიდეს ბიუროს სხდომაზე დასამტკიცებლად.

საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ რამაზ არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

რამაზ არველაძე

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის სხდომის თავმჯდომარე